

**შრომისა და სიზარმაცესთან
დაკავშირებული გობიერთი ანდაზა
არაბულსა და ქართულში**
**SOME LABOR AND IDLENESS-RELATED PROVERBS
IN ARABIC AND GEORGIAN**

ლელა ავალიანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი. საქართველო

Lela Avaliani

Akaki Tsereteli State University
Kutaisi. Georgia

ABSTRACT

The history of any nation is related to labor. Throughout the ages, labor has been highly appreciated. There is a sufficient number of proverbs in Arabic and Georgian languages that reflect the attitude of human beings to labor.

Arabic proverbs presented in the proposed article are selected from the database of Georgian idioms and proverbs (<http://idioms.tsu.ge>).

The idioms referring to labor are characterized by diversity and wealth of materials in both languages.

The expressions are mainly of didactic nature. It is clearly shown that without toiling and hard work prosperity cannot be gained. Work first and then rest. Contrary to laziness, hard work is foundation to achieve anything. Actions speak louder than words. Work and dynamism will prevent humans from any trouble. In addition, procrastination, idleness, laziness, and poorly timed work are negatively evaluated.

The discussed examples show that representatives of both nations highly praise labor as a foundation of life. It is a fundamental factor for human happiness and a basis for regular life. Proverbs reflect specific attitudes towards such an important sphere of life.

Over a long period of time, similar views on labor have been established among Arabs and Georgians. These views are appropriately captured by proverbs which expressly demonstrate wisdom and knowledge of life. The collection of proverbs in both nations contain expressions of order, suggestion, and recommendation. It should also be noted that similarity between Arabic and Georgian proverbs can mainly be observed in terms of semantics. Structurally, Arabic and Georgian proverbs are usually constructed as declarative sentences. Imperative sentences are also attested. Both simple and complex structures occur. Simple structures predominate. The group of sentences with complex structure show prevalence of subordination, while proverbs with a structure of compound-coordinate sentences are relatively rare.

საკვანძო სიტყვები: არაბული ანდაზები, ქართული ანდაზები, შრომასა და სიზარმაცესთან დაკავშირებული გამონათქვამები.

Keywords: Arabic proverbs, Georgian proverbs, labor- and idleness- related expressions.

ნებისმიერი ხალხის ისტორია შრომასთან არის დაკავშირებული. ყველა დროში ზედმიწევნით კარგად იცოდნენ შრომის ფასი. უმველესი დროიდან მომდინარეობს შრომის შესახებ შექმნილი ეს ანდაზა: „ვინც არ მუშაობს, ის არ ჭამს“. არაბულ და ქართულ ენებშიც საკმაო რაოდენობით დასტურდება ისეთი ანდაზები, რომლებიც ასახავს ადამიანის დამოკიდებულებას შრომის მიმართ. წარმოდგენილ სტატიაში განხილული არაბული ანდაზები ამოკრებილია ქართული ენის იდიომებისა და ანდაზების ფონდების მონაცემთა ბაზიდან (<http://idioms.tsu.ge>).

ორივე ეთნოსის ანდაზებში შრომა სიკეთის, სიმდიდრის საფუძველია. მაგალითად:

صنعه في اليد أمان من الفقر „ხელობა (შრომა) სიღარიბისგან თავდაცვის გარანტიაა“. შდრ. ქართ.: „კაცთათვის უმვირფასესი განძი შრომაა“.

არაბულ და ქართულ ანდაზებში უარყოფითადაა შეფასებული ზარმაცი, უქნარა ადამიანი. მაგალითად:

استرح من لا عقل له „ისვენებს უჭკუო“; طول السنة عيد للكسلان (ერაყ.) „ზარმაცისთვის მთელი წელი დღესასწაულია“;

الكسلان يقول الرزق على الله „ზარმაცი ამბობს, სარჩოს ღმერთი მოგვცემსო“.

შდრ. ქართ.: „ზარმაც ცხენს კუდი ემძიმებო“; „ზარმაცი კაცისთვის სულ წვიმს და თოვსო“; „უსაქმო კაცისთვის ნიადაგ უქმეო“; „ზარმაცი მუდამ კენესისო“; **„ზარმაცი ჭამის დროს კარგად არის, მუშაობის დროს – ავად“.**

როგორც არაბული, ისე ქართული ანდაზების მიხედვით, შრომას ადამიანისათვის სიკეთე მოაქვს; დასაქმებული ცდუნებისაგან დაზღვეულია; უსაქმურობა კაცს სიღარიბემდე, ცოდვამდე, ბოროტებამდე მიიყვანს; მშრომელი ადამიანი ბოროტებაზე, ცუდ რამეზე არასდროს ფიქრობს, ამისთვის ვერ იცლის, თავისუფალი დრო არა აქვს, სულ შრომის ფერხულშია ჩაბმული. ასეა ეს გააზრებული ორივე ენის ანდაზებში:

راس الكسلان بيت الشيطان (სირ. / ეგვიპტ.) „ზარმაცის თავი ეშმაკის(თვის) სახლია“ (ეშმაკის სამყოფელია);

الكسل من الشيطان „სიზარმაცე ეშმაკისგანაა“;

الكسلان اخو الشيطان (სირ. / ლიბან.) „სიზარმაცე ეშმაკის ძმაა“. შდრ. ქართ.: „სიზარმაცე ბოროტების დედააო“.

ზოგადად, ორივე ეთნოსის ანდაზების მიხედვით, შრომა უმთავრესი ფაქტორია ადამიანური ბედნიერებისა, ნორმალური ცხოვრების საფუძველია, საქმის კარგი დასაწყისი კარგი დასასრულის საწინდარია. ამასთანავე, ყოველგვარ საქმეს დროულად უნდა დაწყება, გადადებული საქმე „ეშმაკისაა“.

როგორც არაბულ, ისე ქართულ ანდაზებში ნათლადაა ნაჩვენები, რომ უშრომელად, გარჯის გარეშე, დოვლათი არ იქმნება; საარსებო საშუალება თავისით არ მოვა. აღნიშნული გამონათქვამების ნაწილი დამრიგებლური ხასიათისაა. საილუსტრაციო ნიმუშები:

كما تزرع تحصد „როგორც დათესავ, ისე მოიმკი“;

رِزْقٌ يَحِبُّ الْخِفَةَ (ეგვიპტ.) „სარჩოს სიმარჯვე /გარჯა უყვარს“;

مَنْ مَاتَ مَا يَبْعَلُ مَا يَبْأَكُلُ (სირ. / ლიბან. / იორდან.) „ვინც არ მუშაობს, არც ჭამს“;

ما حك ظهري مثل يدي „ზურგი ისე ვერაფერმა მომფხანა, როგორც ჩემმა ხელმა“;

كل يوم تزرع كل يوم تأكل „ყოველ დღე დათესავ (დარგავ), ყოველ დღე შეჭამ“.

შდრ. ქართ.: „ვინც არ გაირჯება, პურსაც ვერ მისწვდება“; „გაურჯელად წარმატება არ მოდის“; „ვინც არ შრომობს, არც ჭამს“; „თუ ხელი არ გაანძრიე, თავისით არაფერი მოგერთმევა“; „თავისით არაფერი მოვა“; „მოსავალს უთქვამს: ვინც მოვლას მაკლებს, ის თავის ბეღელს აკლებსო“; „რასაც დასთეს, იმასვე მოიმკი“; „როგორც იშრომებ, ისე იცხოვრებ“...

ორივე ეთნოსის ბრძნულ გამონათქვამებში შექებულია ადამიანის ცხოვრებისათვის სიკეთის მომტანი ყოველგვარი საქმიანობა. ორივე ენის ანდაზები გვიჩვენებს, რომ:

في الحركة بركة „მომრაობაში სიკეთე, ბარაქა“;

كلب حي خير من أسد ميت „ცოცხალი ძაღლი სჯობს მკვდარ ლომს“;

كلب جوال خير من أسد رابض „მაწანწალა ძაღლი სჯობს მწოლარე ლომს“;

كلب سائب ولا سبع نايم (ეგვიპტ.) „მოსიარულე ძაღლი სჯობს მძინარე ლომს“;

ساقية جارية ولا نهر مقطوع „მდინარი წყარო სჯობს დამდოვრებულ მდინარეს“.

შდრ. ქართ.: „ტყუილად ჯდომას ტყუილად შრომა ჯობიაო“; „არ უნდა გაჩერდე, უმოქმედოდ არ უნდა იყო“; „მაწანწალა ტურამ აჯობა მწოლარე მგელსაო“.

აღსანიშნავია, რომ შრომის ამსახველი ანდაზები როგორც არაბულში, ისე ქართულში მრავალფეროვნებითა და მასალობრივი სიუხვით ხასიათდება: შრომით ყველაფერს მიაღწევ; ადამიანი საქმით ფასდება და არა ლაპარაკით; საქმე დაწყებამდეა მნელი, მაგრამ ბოლო კარგი აქვს; შრომას მხიარულებაც უნდა ახლდეს; შრომა ბედნიერებაა, ცხოვრების მარილია.

ორივე ეთნოსის გამონათქვამებში გაკრიტიკებულია ისეთი სიტყვა და ქადაგება, რომელსაც საქმე არ ახლავს. მაგალითად:

العويل لسانه طويل (სირ.) „ზარმაცს (სხვის ხარჯზე მაცხოვრებელს) გრძელი ენა აქვს“.

შდრ. ქართ.: „[უქნარასგან კარგი ქადაგი გამოვაო](#)“.

[ერთი ეგვიპტური ანდაზა ლაპარაკის ნაცვლად საქმის კეთებისკენ მოგვიწოდებს:](#)

بدل اللسان اعمل الإحسان „ლაპარაკის ნაცვლად საქმე გააკეთე!“

ანალოგიური აზრია სირიულ ანდაზაშიც: الإحسان ولا لسان „საქმე ლაპარაკის ნაცვლად!“ შდრ. ქართ.: „მჩხვანა კატა თავს ვერ დაიჭერს“;

„მოკაკანე ქათამი კვერცხს ვერ დადებსო“; „სიტყვა უსაქმოდ მკვდარია“; „ბევრი ლაპარაკი, ცოტა საქმე“...

საანალიზო მასალის ერთ ნაწილში შრომის (რომელიც მოძრაობასთან, მოქმედებასთანაა დაკავშირებული) სასიკეთო შედეგზეა ლაპარაკი; შრომა, მოძრაობა ყველა უბედურებისაგან იხსნის ადამიანს. ორივე ეთნოსის ანდაზების მიხედვით, მიუღებელი და შეუწყნარებელია როგორც სიზარმაცე და უქნარობა, ასევე უდროოდ გაკეთებული საქმე. მაგალითად:

لکل شيء وقت مناسب / کل شيء في أوانه „ყველაფერს თავისი დრო აქვს“;

كل شيء بأوانه مليح (ლიტ. / ეგვიპტ.) „თავის დროზე ყველაფერი კარგია!“.

შდრ. ქართ.: „მამალი რომ უდროოდ ყვირის დაიწყებს, თავს მოჭრიანო“.

განხილული ნიმუშებიდან ჩანს, ორივე ერის წარმომადგენლები მაღალ შეფასებას აძლევენ შრომას, როგორც ცხოვრების საფუძველს. იგი უმთავრესი ფაქტორია ადამიანური ბედნიერებისა, ნორმალური ცხოვრების საფუძველია. როგორც არაბულ, ისე ქართულ ანდაზებში ასახულია განსაკუთრებული მიდგომა ცხოვრების ამ უმნიშვნელოვანესი სფეროს მიმართ. ანდაზები ძირითადად დამრიგებლური ხასიათისაა. ორივე ეთნოსის ანდაზების მიხედვით, ჯერ საქმეა საჭირო და მერე დასვენება; შრომით ყველაფერს მიაღწევ, სიზარმაცით - ვერაფერს; უარყოფითადაა შეფასებული გადადებული საქმე, სიზარმაცე, უქნარობა, უდროო მუშაობა...

ამრიგად, არაბებსა და ქართველებს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შრომის შესახებ მსგავსი შეხედულებები ჩამოუყალიბდათ. ეს შეხედულებები სათანადოდაა რეალიზებული ანდაზებში, სადაც თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი ცხოვრებისეული სიბრძნე და გამოცდილება. ორივე ხალხის ანდაზურ ფონდში მოიპოვება ბრძანების, რჩევის, რეკომენდაციის ტიპის გამონათქვამები. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არაბული და ქართული ანდაზების მსგავსება ძირითადად სემანტიკაში შეინიშნება. სტრუქტურულად არაბული და ქართული ანდაზები ძირითადად თხრობითი წინადადებებით არის წარმოდგენილი. დასტურდება ბრძანებითი წინადადებებიც. გვხვდება როგორც მარტივი, ისე რთული კონსტრუქციები. უფრო მეტია მარტივი კონსტრუქციები. რთული აგებულების წინადადების ჯგუფში ჭარბობს ქვეწყობა, შედარებით იშვიათია თანწყობილი წინადადების სტრუქტურის მქონე ანდაზები.

გამოყენებული ლიტერატურა

არაბული ანდაზები და გამონათქვამები - Арабские пословицы и поговорки. Составитель Абуль-Фадль аль-Майдани. Перевод с арабского Ильнур Сарбулатов. www.nuruliman.ru. დამოწმება: 10.09.2020.

ბარანოვი 1989 - Баранов Х., Арабско-русский словарь, 1989.

ბორისოვი 2004 - Борисов В., Русско-арабский словарь, М., 2004.

სახოკია 1979 - სახოკია თ., ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბ., 1979.

ფავზი... 1989 - Фавзи А., Шкляров В.Т., Учебный русско-арабский фразеологический словарь, М., 1989.

ქართული ანდაზები 1959 - ქართული ანდაზები, შეადგინა ა. კანდელაკმა, თბ., 1959.

ქართული იდიომები და ანდაზები - ქართული ენის იდიომებისა და ანდაზების ფონდების მონაცემთა ბაზა, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო დონდი <http://idioms.tsu.ge>. დამოწმება: 10.09.2020.